პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

შაბათი,
22 ოქტომბერი,
1957 წელი
№ 127 (1141)
ფასი 30 კაპ.
გამოცემის მე-14 წელი.

# ლელო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

# ამიერკავკასიისა და მოლდავეთის რესპუბლიკების სპარტაკიადის შ ე დ ე გ ე ბ ი ა ს ე თ ი ა:

## პირველ ადგილზეა საქართველო — 33 ქულა,
## მეორე ადგილზე — აზერბაიჯანი — 48,5 ქულა,
## მესამე ადგილზე — სომხეთი — 61 ქულა,
## მეოთხე ადგილზე—მოლდავეთი—87,5 ქულა.



## მომავალ შეხვედრამდე!

18 ოქტომბერს — სპარტაკიადის უკანასკნელ დღეს იმ შენობის წინ, სადაც საქართველოს სპორტული დელეგაცია იმყოფებოდა, კვლავ ჩამწკრივდნენ კომფორტაბელური ავტობუსები. ჩავსხედით და გავემართეთ იმ ადგილისაკენ, რომელსაც არა მარტო ბაქოელი მშრომელები, არამედ მთელი საბჭოთა ხალხი უაღრესად პატივს სცემს — ბაქოს 26 კომისრის ძეგლისაკენ. წითელი ვარდების თაიგულების გვირგვინით შევამკეთ გმირების საფლავი, მდუმარედ ვიდექით ერთხანს. შემდეგ ჩვენი პროცესია გაემართა მწირალ სამედ ვურგუნის, ხოლო იქიდან კი ნიზამი განჯელის ძეგლისაკენ. საქართველოს სპორტულმა დელეგაციამ პატივი სცა აზერბაიჯანის განთავისუფლებისათვის მებრძოლებს და კულტურის მოღვაწეებს.

საღამოს მ. ახუნდოვის სახელობის აზერბაიჯანის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში შეიკრიბნენ ოთხი მოძმე რესპუბლიკის სპარტაკიადის მონაწილეები. საზეიმო სხდომის დაწყებამდე თეატრის ფოიეში ქართველი, მოლდაველი სომეხი და აზერბაიჯანელი სპორტსმენები ცეკვავდნენ, მღეროდნენ, ერთმანეთს უზიარებდნენ მიღებულ შთაბეჭდილებებს.

ზარმა ზეიმზე მოსულნი სადემონსტრაციო დარბაზში მიიწვია. პრეზიდიუმში ისხდნენ აზერბაიჯანის პარტიული და საბჭოთა მუშაკები, სპარტაკიადის საორგანიზაციო კომიტეტის წევრები, რესპუბლიკების სპორტული დელეგაციების წარმომადგენლები, სპორტსმენები.

სპარტაკიადის მთავარმა მსაჯმა პეტროვმა დამსწრეთ გააცნო საერთო შედეგები. დიდი ოქტომბრის რევოლუციისადმი მიძღვნილ ამ მნიშვნელოვანი ღონისძიების მსვლელობის დროს დამყარებულ იქნა სპარტაკიადის 38 რეკორდი. აქედან 15 ცურვაში, 22 სიმძიმეთა აწევაში, 1 მძლეოსნობაში. სპორტის ოსტატის ნორმა შეასრულა 21 კაცმა, მათ შორის პირველად რვა სპორტსმენმა, რომელთაგან ოთხი საქართველოს წარმომადგენელია.

შემდეგ პეტროვმა გაშალა სპარტაკიადის გარდამავალი წითელი დროშა და სცენაზე ამოსულ ქართველ სპორტსმენებს მალხაზ ერისთავს, ოთარ კანდელაკსა და ნოდარ გვახარიას ჩააბარა. დროშის გადაცემის ცერემონიალის დამთავრების შემდეგ ტრიბუნაზე ავიდა საქართველოს დელეგაციის ხელმძღვანელი ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე გ. ვ. სიხარულიძე. მან დამსწრეთა ტაშის გრიალში მადლობა გადაუხადა ბაქოს მშრომელებს გულთბილი მიღებისათვის და იმ დახმარებისათვის, რომელიც მათ გაუწიეს საორგანიზაციო კომიტეტს სპარტაკიადის სანიმუშოდ ჩატარებისათვის. შემდეგ მან ურღვევი ძმობისა და მეგობრობის ნიშნად დიდი მოვერცხლილი ბროლის თასი გადასცა აზერბაიჯანის სპორტულ კოლექტივს.

აზერბაიჯანის ალკკ ცენტრალური კომიტეტის თასები გადაეცა საქართველოსა და აზერბაიჯანის დელეგაციებს. შემდეგ ჩვენმა სპორტსმენებმა დაუშვეს სპარტაკიადის ალამი.

19 ოქტომბერს, საქართველოს სპორტსმენების გამგზავრების დღეს, მრავალი გამცილებელი შეიკრიბა ბაქოს სადგურის ბაქანზე. როგორც გულთბილად მიგვიღეს, ისე გულთბილად გამოგვაცილეს აზერბაიჯანელმა მეგობრებმა.

— მომავალ შეხვედრამდე, მომავალ სპარტაკიადამდე მეგობრებო, — გვესმოდა მათი ხმა და ნელა მიმავალი მატარებლის ვაგონების ფანჯრებიდან მოსჩანდა გაღიმებული სახეები...

**ნ. გუგუშვილი**

* * *

კურას. 20 ოქტომბერს, სპარტაკიადის მონაწილე საქართველოს სპორტული დელეგაცია თბილისში დაბრუნდა.

ს უ რ ა თ ზ ე: საქართველოს სპორტსმენთა ერთი ჯგუფი თბილისის სადგურის ბაქანზე.

## ამიერკავკასიისა და მოლდავეთის რესპუბლიკების სპარტაკიადის შედეგები
## ს პ ო რ ტ ი ს ც ა ლ კ ე უ ლ ს ა ხ ე ო ბ ე ბ შ ი

| | მძლეოსნობა | ცურვა | წყ. ხტომა | წყალბურთი | კალათბურთი | | ფრენბურთი | | ფეხბურთი | ჩოგბურთი | ჭიდაობა | | კრივი | ძალოსნობა | ტანვარჯიში | ველოსრბოლა | მოტოსრბოლა | ცხენოსნობა | ხუთჭიდი | სროლა | | ნიჩბოსნობა | ფარიკაობა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | ქალ. | ვაჟ. | ქალ. | ვაჟ. | | | კლას. | თავ. | | | | | | | | სტენ. | ტყვ. | | |
| საქართველო | 1 | 1 | 3 | 2 | 1 | 2 | 2 | 2 | 1 | 1 | 1 | 1 | 2 | 1 | 1 | 2 | 1 | 1 | 2 | 1 | 2 | 1 | 1 |
| აზერბაიჯანი | 2 | 2 | 2 | 1 | 2-3-4 | 1 | 1 | 1 | 3 | 2 | 2 | 2 | 1 | 2 | 3 | 3 | 3 | 3 | 3-4 | 2 | 1 | 2 | 3 |
| სომხეთი | 4 | 3 | 1 | 4 | 2-3-4 | 4 | 3 | 3 | 2 | 3 | 3 | 3 | 3 | 3 | 2 | 1 | 2 | 2 | 1 | 3 | 3 | 3 | 2 |
| მოლდავეთი | 3 | 4 | 4 | 3 | 2-3-4 | 3 | 4 | 4 | 4 | 4 | 4 | 4 | 4 | 4 | 4 | 4 | 4 | 4 | 3-4 | 4 | 4 | 4 | 4 |



ოთხი მოძმე რესპუბლიკის სპარტაკიადაზე ახალი რესპუბლიკური რეკორდი დაამყარა საქართველოს წარმომადგენელმა დათიკაშვილმა. სურათებზე:—ზევით სარეკორდო სიმძიმეს სიზუსტის სასწორით ამოწმებენ მსაჯები. ქვევით — დათიკაშვილი (შუაში) გამარჯვებულის კვარცხლბეკზე.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

**დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავის შესახვედრად**

# მეცხრე ტრადიციული

ფრუნზე. (ჩვენი სპეც. კორ.). ყირგიზეთის დედაქალაქის საუკეთესო ბაზებზე ერთ კვირას მიმდინარეობდა ყაზახეთისა და შუა აზიის რესპუბლიკების მეცხრე ტრადიციული სპარტაკიადა, რომლის პროგრამაში იყო სპორტის 22 სახეობა.

ასპარეზობის პერიოდში დამყარებული იქნა სპარტაკიადის 34 და რესპუბლიკების 51 რეკორდი. აღსანიშნავია აგრეთვე, რომ სპარტაკიადის 27 მონაწილემ პირველად შეასრულა სპორტის ოსტატის ნორმატივი.

სპარტაკიადის პირველი დღიდანვე ცხადი გახდა, რომ ბრძოლა პირველობისათვის მეტად დაძაბული და საინტერესო იქნებოდა. გამარჯვებული მხოლოდ უკანასკნელ დღეს გამოვლინდა. ეს იყო უზბეკეთის ნაკრები კოლექტივი, რომელიც ძლიერი სპორტსმენებით იყო დაკომპლექტებული. უზბეკეთის წარმომადგენლებმა პირველი ადგილები მოიპოვეს სპორტის 13 სახეობაში.

მეორე ადგილზე გამოვიდნენ ყაზახეთის სპორტსმენები. ამ რესპუბლიკის კალათბურთელ ვაჟთა და ქალთა გუნდებმა მთელი ასპარეზობა მეტად მაღალ დონეზე ჩაატარეს და დამსახურებულად მოიპოვეს პირველობა. აღსანიშნავია, რომ გასულ 8 სპარტაკიადის კალათბურთელ ქალთა ტურნირში ჩემპიონი უცვლელად უზბეკეთის ნაკრები იყო, წელს კი ეს სახელი პირველად ყაზახეთის კალათბურთელებმა მოიპოვეს. გუნდი გამოირჩევა თავისი კოლექტიურობით, კალათში შორიდან ზუსტი სროლებით და კარგი ფიზიკური მომზადებით. აღნიშნული გუნდები მონაწილეობას მიიღებენ დიდი ოქტომბრის რევოლუციის მე-40 წლისთავისადმი მიძღვნილ საკავშირო თასის გათამაშებაში, რომელიც ოქტომბრის ბოლო რიცხვებში მოსკოვში მოეწყობა.

ყაზახეთის სპორტსმენთა გამარჯვებით დამთავრდა აგრეთვე ბრძოლები კრივში, თავისუფალ ჭიდაობაში, ნიჩბოსნობაში, თანამედროვე ხუთჭიდში, ძალოსნობაში, ფეხბურთში, ფარიკაობაში.

მესამე საპრიზო ადგილი წილად ხვდა ყირგიზეთის კოლექტივს.

**ი. პარლაგაშვილი.**

# საინტერესო ღონისძიებები

ფიზკულტურისა და სპორტის თბილისის კომიტეტმა მრავალი საინტერესო სპორტული ღონისძიების ჩატარება გადაწყვიტა ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 40 წლისთავის დღესასწაულის აღსანიშნავად. სექტემბერში მოეწყო ამ დღისადმი მიძღვნილი ძირეული კოლექტივების მეორე ტური მძლეოსნობაში, ქალაქის პირადგუნდური პირველობა წყალში ხტომაში, კიევისა და თბილისის წყალში მხტომელთა საქალაქთაშორისო მატჩი, საშემოდგომო მასობრივი კროსი, საქალაქო ტურისტული შეკრება და სხვა ღონისძიებანი.

ოქტომბერსა და ნოემბერში განზრახულია ჩატარდეს საქალაქო პირველობები აკრობატიკაში, მხატვრულ ტანვარჯიშში, კალათბურთში, სამბოში, ხელბურთში. ოქტომბერში გაიმართება ტექნიკუმების სპარტაკიადა, ფრენბურთელთა და ფეხბურთელთა შეხვედრები ოქტომბრის რევოლუციის 40 წლისთავის სახელობის თასზე, ქალაქის რკალი მოტოსპორტში, საქალაქთაშორისო მატჩი ხელბურთში ლვოველ სპორტსმენებთან, ჭაბუკთა საქალაქო პირველობები ჩოგბურთსა და ფეხბურთში, შეხვედრები კონსტიტუციის თასზე.

ნოემბრის პირველ რიცხვებში თბილისის სპორტულ ბაზებზე ჩატარდება ამ დღისადმი მიძღვნილი უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთა სპარტაკიადა. სტუდენტ ხელბურთელთა ჩემპიონატი, ქალაქის რკალი ველოსპორტში. გაიმართება აგრეთვე 40 წლისთავისადმი მიძღვნილი სპორტული საღამო, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ ჩვენი ქვეყნის საუკეთესო ტანმოვარჯიშეები, მოჭიდავეები, მოკრივეები, აკრობატები და სპორტის სხვა სახეობათა წარმომადგენლები.

# მოსწავლეთა ლაშქრობა

ამას წინათ მცხეთის რაიონის სოფელ ქსოვრისის საშუალო სკოლის მოსწავლეებმა მოაწყეს ლაშქრობა, რომელიც მიეძღვნა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავს. მასში მონაწილეობას იღებდა V–XI კლასების 47 მოსწავლე და 8 მასწავლებელი. ლაშქრობის მარშრუტი იყო: ქსოვრისი-ბაზალეთის ტბა-ქსოვრისი.

ლაშქრობამ წარმატებით ჩაიარა.

**მ. მახარაშვილი**





# ქუთაისის ფიზკულტურელები ახალი ამოცანების წინაშე

ქუთაისის მშრომელებს უყვართ ფიზკულტურა და სპორტი, ამიტომ არის, რომ ჩვენს ქალაქში ფიზკულტურის კოლექტივების რიცხვი სისტემატურად იზრდება. 20 წლის წინათ აქ 5.000 ფიზკულტურელი იყო, ხოლო 1947 წელს — 7.000, 1956 წელს მათმა რიცხვმა 24.000-ს მიაღწია. მიმდინარე წელს ქალაქის ძირეულ კოლექტივებში გაერთიანებულია 28.000 ფიზკულტურელი. ყოველწლიურად იზრდება სპორტულ შეჯიბრებებში მონაწილეთა რიცხვი. მარტო 1955 წელს იგი 55 ათასს შეადგენდა, ერთი წლის შემდეგ კი ყველა სახის შეჯიბრებებში მონაწილეთა რაოდენობა ორი ათასით გაიზარდა. მიმდინარე წლის მარტო ცხრა თვეში ჩატარებულ 75 შეჯიბრებაში მონაწილეობა მიიღო 60 ათასზე მეტმა კაცმა.

უკანასკნელ წლებში საკმაოდ ამაღლდა ახალგაზრდა სპორტსმენთა აღზრდის საქმე, მწვრთნელთა უმეტესობა პასუხისმგებლობის გრძნობით ეკიდება დაკისრებულ მოვალეობას. ნაყოფიერმა მუშაობამ ქუთაისის ნაკრებ გუნდებს საშუალება მისცა ხშირად მეორე ადგილზე გამოსულიყვნენ რესპუბლიკურ შეჯიბრებებში.

წელს ვორონეჟში ჩატარებული ინსტიტუტების საკავშირო კომპლექსურ შეჯიბრებაში ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ფიზკულტურის კოლექტივმა პირველი ადგილი დაიკავა ფარიკაობაში, ჭიდაობაში, ტანვარჯიშსა და ჩოგბურთში. პირად-პირველობაში ჩემპიონები გახდნენ ტანმოვარჯიშე ა. ჩარგეიშვილი, ჩოგბურთელი ბ. ნაცვლიშვილი, მოჭიდავე მ. სინაურაძე და სხვები. ასევე წარმატებით გამოვიდა სატყეო ტექნიკუმის ფიზკულტურული კოლექტივი ამ სისტემის სასწავლებლების საკავშირო შეჯიბრებაში.

უკანასკნელ ხანებში ქუთაისში ფართოდ გაიშალა სპორტული ბაზების მშენებლობა. მიმდინარე წელს ქალაქს შეემატა ახალი სტადიონი (დამთავრდა პირველი რიგის სამუშაოები). აბრეშუმის კომბინატის ტერიტორიაზე აშენდა საცურაო აუზი, მოსწავლეებისათვის მოეწყო ჩოგბურთის ორი ახალი კორტი, გაფართოვდა კალათბურთის ცენტრალური სტადიონი, საუწყებო სპორტული მოედნებისა და დარბაზების ქსელი. ამჟამად ქალაქში არის კალათბურთის — 67, ფრენბურთის — 80, ფეხბურთის 9 მოედანი და 2 სტადიონი, 36 სპორტული და კლასდარბაზი. ბაზების ქსელის გაფართოებამ ხელი შეუწყო ფიზკულტურული მუშაობის გაშლას. ამაღლდა 1-ლი, მე-2, მე-9, მე-11, მე-12, მე-13, მე-18, მე-19, 21-ე, რკინიგზის მე-20 და 21-ე სკოლების საქმიანობა. ნაყოფიერად მუშაობენ, აგრეთვე აბრეშუმკომბინატის, სამთო და სატყეო ტექნიკუმებისა და სხვ. ფიზკულტურული კოლექტივები.

უკანასკნელ ხანებში საგრძნობლად გაიზარდა სპორტის პროპაგანდა, რეგულარულად ეწყობა ლექცია-მოხსენებები, საუბრები. ფიზკულტურის საქალაქო კომიტეტთან არსებული საზოგადოებრივი სექციების უმრავლესობა სათანადო დახმარებას უწევს საქალაქო კომიტეტს.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 40 წლისთავის სასახელოდ შეხვედრისათვის ქუთაისის ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა თავიდანვე გაშალეს სოცშეჯიბრება. ქალაქის ფიზკულტურული ორგანიზაციები დიდი ხანია ეჯიბრებიან მოძმე საბჭოთა სომხეთის მეორე ინდუსტრიალურ ქალაქ ლენინაკანის ფიზკულტურულ ორგანიზაციებს. დიადი თარიღის აღსანიშნავად საქალაქო კომიტეტმა შეადგინა სპორტღონისძიებათა სპეციალური კალენდარი, რომლის თანახმად ყველა ძირეულ ფიზკულტურულ კოლექტივში ტარდება მასობრივი კომპლექსური შეჯიბრებები, სპარტაკიადები, შეჯიბრებები სპორტის ცალკეულ სახეობებში, სამატჩო შეხვედრები ძირეულ ფიზკულტურულ კოლექტივებს შორის. მოეწყო, აგრეთვე საქალაქო შეჯიბრებები მძლეოსნობაში, კალათბურთში, ველოსპორტში, სპორტულ და მხატვრულ ტანვარჯიშში, ცურვაში, წყალბურთში, ფეხბურთში, ფრენბურთში, კრივში, თავისუფალ და კლასიკურ ჭიდაობაში, ძალოსნობაში, მაგიდის ჩოგბურთში და სხვ.

მიმდინარე წელს მშთ ნიშნოსანთა და სპორტსმენ თანრიგოსანთა მომზადების გეგმები გადაჭარბებით შევასრულეთ 1 ოქტომბრისათვის, მაგრამ მარტო გეგმის შესრულებით როდი ვკმაყოფილდებით. ამ დღეებში ჩავატარეთ ფიზკულტურის ხელმძღვანელ მუშაკთა და საზოგადოებრივი სექციების თავმჯდომარეთა თათბირი, სადაც შევაჯამეთ განვლილ პერიოდში ჩატარებული მუშაობა, დავსახეთ სათანადო ღონისძიებანი, რათა წლის ბოლომდე გეგმის 20 პროცენტის გადამეტებით მოვამზადოთ მშთ ნიშნოსნები და თანრიგოსნები.

მიღწევებთან ერთად ქალაქის ფიზკულტურული ორგანიზაციების მუშაობაში ადგილი აქვს მნიშვნელოვან ნაკლოვანებებსაც. ეს ძირითადად ეხება სპორტის მასობრიობასა და ტექნიკურ შედეგებს. განსაკუთრებით ჩამორჩებიან ჩვენი მძლეოსნები, რომელთა მწვრთნელებმა ახლებურად ჯერ კიდევ ვერ გარდაქმნეს მუშაობა, ხოლო ფიზკულტურის საქალაქო კომიტეტს სათანადო ღონისძიება არ გაუტარებია. ანალოგიური მდგომარეობაა მოტო, ველო, სასტენდო, საცხენოსნო და საწყლოსნო სპორტის განვითარების საქმეში. განვიცდით კვალიფიციური მწვრთნელების ნაკლებობას. კარგი იქნებოდა თუ ფიზკულტურის რესპუბლიკური კომიტეტი ერთი წლით მაინც მოავლენდა გამოცდილ მწვრთნელებს სპორტის ამ სახეობებში, რაც საშუალებას მოგვცემდა გამოგვესწორებინა ჩამორჩენა.

ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკურმა კომიტეტმა მომავალი წლიდან მხედველობაში უნდა მიიღოს აგრეთვე ქუთაისელი ახალგაზრდების მოთხოვნა საცურაო აუზის მშენებლობის შესახებ (ამ საკითხზე არა ერთხელ იქნა მიღებული დადგენილება). აუცილებელია, აგრეთვე სადემონსტრაციო დარბაზის უახლოეს პერიოდში აგება და სტადიონის მეორე რიგის სამუშაოების დამთავრება.

პარტიის საქალაქო კომიტეტის ინიციატივით დასახულია სათანადო ღონისძიებანი მუხნარის ტყეში საწყლოსნო სადგურის მოსაწყობად, რის შემდეგ იგი გადაიქცევა ქუთაისელთა საყვარელ დასასვენებელ ადგილად, რადგან აქვე იქნება იპოდრომი, სასტუმრო, სასტენდო მოედანი და სხვა სპორტული ნაგებობანი, მაგრამ სამუშაოთა დაწყება ჭიანურდება.

უნდა ვუსაყვედუროთ დოსააფის რესპუბლიკურ კომიტეტსა და სპორტსაზოგადოებათა რესპუბლიკურ საბჭოებს, რომლებიც არასათანადო ხელმძღვანელობას, კონტროლსა და დახმარებას უწევენ მათდამი დაქვემდებარებულ ორგანიზაციებს ქუთაისში. მაგალითად, ქალაქში არსებობს დოსააფის ავტო-მოტო კლუბი, მაგრამ მისი ხელმძღვანელები არავითარ მუშაობას არ ეწევიან სპორტსმენთა ტექნიკური დონის ამაღლებისათვის. განიცდიან საწვავის ნაკლებობას. ანალოგიური მდგომარეობაა სასტენდო სროლაშიც. ხუთიოდე წლის წინათ ქუთაისელმა ფიზკულტურელებმა კარგი სასტენდო ბაზა მიიღეს, მაგრამ ვაზნების უქონლობის გამო ვარჯიშები არ ტარდება, „მონკავშირი“ კი დახმარებისათვის თავს არ იწუხებს, არ ზრუნავს ქუთაისში სპორტის ამ სახეობის განვითარებისათვის. სუსტად მუშაობენ „ბურევესტნიკის“ (თავმჯდომარე რ. ზაალიშვილი) და „სპარტაკის“ (თავმჯდომარე ა. ალფაიძე) საქალაქო კომიტეტები, რომელთაც ხელმძღვანელები კმაყოფილდებიან უკვე მობერებული ან „ნასესხები“ სპორტსმენებით, ნაკლებად ზრუნავენ ახალგაზრდა კადრების აღზრდისათვის. ამ ორგანიზაციებში ჯერ კიდევ ნელი ტემპით მიმდინარეობს მუშაობის გარდაქმნა საკავშირო ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის ბრძანების საფუძველზე.

ქუთაისში ერთ-ერთი უდიდესი საწარმოთაგანია ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხანა, მაგრამ აქ დღემდე ერთი კეთილმოწყობილი სპორტული ბაზაც არ გააჩნიათ. 1956 წლის 4 იანვარს „ტორპედოს“ ცენტრალური საბჭო იუწყებოდა, რომ სსრ კავშირის საავტომობილო მრეწველობის მინისტრის 1955 წლის 27 დეკემბრის ბრძანებით, ქუთაისის საავტომობილო ქარხნისათვის 1957-1959 წლებში უნდა აშენებულიყო სტადიონი, მაგრამ დღემდე არაფერი გაკეთებულა.

აღნიშნულ ნაკლოვანებებს უნდა დაემატოს ისიც, რომ ქუთაისის ზოგიერთი ფიზკულტურული მუშაკი გულგრილად ეკიდება დაკისრებულ მოვალეობას. განათლების განყოფილების სპორტსკოლის მძლეოსნობის მწვრთნელი დ. ეფრემაშვილი, რომელიც დამტკიცებული იყო ქალაქის ნაკრები გუნდის მწვრთნელად, თვითნებურად წავიდა ლვოვში... მსაჯად საკავშირო შეჯიბრებაზე. მის მაგალითს მიბაძა კალათბურთელ ქალთა გუნდის მწვრთნელმა ო. ადეიშვილმაც, რომელმაც უპატრონოდ მიატოვა გუნდი და რიგაში წავიდა საკავშირო შეჯიბრებაზე.

ქუთაისელი ფიზკულტურელები მეტ წარმატებებს მოიპოვებდნენ აქაც რომ ტარდებოდეს საკავშირო პირველობები. მიმდინარე წელს ქუთაისში უნდა გამართულიყო ფრენბურთელ ქალთა საკავშირო პირველობა, მაგრამ ბოლოს ისიც, რატომღაც, თბილისში გადაიტანეს.

**ა. ჩოგოვაძე,**
ქუთაისის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე.

# ინსტიტუტის პირველობაზე

დიდი ოქტომბრის რევოლუციის 40 წლისთავს მიუძღვნეს გორის ნ. ბარათაშვილის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის მოჭადრაკეებმა თავისი პირველობა. ჩემპიონის სახელისათვის საინტერესო ბრძოლა გაჩაღდა გ. კრიხელსა და ჯ. ინჯიას შორის. გადამწყვეტ შეხვედრაში გაიმარჯვა ჯ. ინჯიამ, რომელმაც 8,5 ქულით დაიკავა პირველი ადგილი. მეორე ადგილზე გამოვიდა გ. კრიხელი.

ქალთა შორის ინსტიტუტის ჩემპიონის სახელი დაისაკუთრა მედეა ავალიანმა,

**ა. ტაბატაძე**



> „...ადამიანი უნდა იწურთნებოდეს სკოლაში ყოველ მხრივ: გონებით, ზნე-ხასიათით, სულით და ხორცით და არც ერთი არ უნდა შეეწიროს მეორეს“.
>
> • • •
>
> „...კაცს ტანი და აგებულებაცა აქვს, რომელიც წურთნითა და ვარჯიშობით უნდა გალონიერდეს, გაჯანსაღდეს, გამაგრდეს, რადგანაც ჯანმრთელობა უდიდესი მადლია“.
>
> ი. ჭავჭავაძე

### იუბილეს დღეებში

ილია ჭავჭავაძის დაბადების 120 წლისა და გარდაცვალების 50 წლისთავის აღსანიშნავად ფიზკულტურისა და სპორტის თბილისის კომიტეტმა შეადგინა ამ დღისადმი მიძღვნილი სპორტღონისძიებათა სპეციალური კალენდარი.

ერთ კვირას გაგრძელდება ეზოს გუნდების ფინალური შეხვედრები ფრენბურთში. განზრახულია აგრეთვე ქალაქის თასის გათამაშება ფეხბურთში ძირეული კოლექტივების ნაკრებ გუნდებს შორის.

სპორტსაზოგადოება „სპარტაკი“ ლისის ტბის მიდამოებში ჩაატარებს მძლეოსანთა მასობრივ კროსს, ხოლო „კრასნოე ზნამიას“ რესპუბლიკური საბჭო — თავის მორიგ პირველობას კალათბურთში. პიონერთა სასახლის ბაზებზე გაიმართება სკოლათაშორისო შეჯიბრება კალათბურთში და სხვ.

## ჩვენი ილია-ქართველი ერის სიამაყე

# ი. ჭავჭავაძე და ახალგაზრდობის ფიზიკური აღზრდა

ილია ჭავჭავაძის შეხედულებანი ახალგაზრდობის ფიზიკური აღზრდის შესახებ მის პუბლიცისტურ წერილებშია გამოთქმული, მაგრამ მისმა დამოკიდებულებამ ფიზიკური აღზრდისადმი მხატვრულ ნაწარმოებებშიაც ჰპოვა თავისი გამოსახულება.

თუმცა ილიას ახლობლები იგონებენ, რომ ილია ბავშვობაში არ ყოფილა ტოლებში თამაშისა და გართობის მოყვარული, მაგრამ, ცხადია, მის მახვილ თვალსა და ცოცხალ გონებას არ გამოპარვია ტოლამხანაგების თამაშობა-ვარჯიშობანი. თვით ილია იგონებს: „წერა-კითხვას, როგორც მახსოვს, სულ საათს არ ვანდომებდით ხოლმე; დანარჩენი დრო იმაში გადიოდა, რომ ვთამაშობდით თვით მთავრის ზედამხედველობით და ხელმძღვანელობით“.

ყვარლის მკვიდრი მოსე ამონაშვილი, რომელიც სულ სამი თუ ოთხი წლითაა ილიაზე უმცროსი და მასთან ერთად სწავლობდა მთავრის სკოლაში, იგონებს, რომ ილიას ძალიან უყვარდა თავისი ტოლ-ბიჭების თამაშ-ვარჯიშობას ცქერა და ხშირად, თითონაც გაერეოდა ხოლმე ამ თამაშში. შემდეგშიაც, როდესაც ილია უკვე თბილისში სწავლობდა, ყვარელში ჩამოსვლისას ხშირად დასწრებია სოფლის ბიჭების შეჯიბრებას რბენაში, ბურთაობასა და ქვის სროლაში.

თითონ მოსე კარგი მორბენალი ყოფილა და ხშირად გამარჯვებული გამოსულა სირბილში, რისთვისაც ილიას იგი დაუსაჩუქრებია და მოსეს ეხლაც სასახელოდ აქვს დიდიხნის გარდასული სიჭაბუკის ეს გამარჯვება და ის ჯილდო, რომელიც მან ილიას ხელით მიიღო.

ბავშვობისა და სიჭაბუკის შთაბეჭდილებებს ილიასათვის უკვალოდ არ ჩაუვლია და მის მხატვრულ ნაწარმოებებში აისახნენ.

გაიხსენეთ, როგორ უამბობს ზაქრო კაკოს თავისი ბავშვობის ამბავს ...„ვხტოდით, ვიძახდით,
ვლაზღანდარობდით,
და ზეზეულად დავნაყრდებოდით;
მერე ვმართავდით თამაშობასა,
ხან ქვას ვისროდით, ხან ბურთსა
მაღლა,
და შუადღისა გოლვისა ჟამსა
ჩამოვრეკავდით ძროხასა დაბლა,
თან ჩავყვებოდით უკანაც ჩვენა...“

სახალხო დღესასწაულებსა და დღეობებში ჯირითი, ფარიკაობა, ჭიდაობა და სხვა სახის შეჯიბრება იმართებოდა და ისინი ყოველთვის ილიას აღტაცებას იწვევდენ. ალბათ მათმა გახსენებამ უკარნახა ილიას ჯირითობის აღწერა მის შესანიშნავ ლექსში „იანიჩარი“.

ან და, გაიხსენეთ „გლახის ნაამბობის“ ის სტრიქონები, სადაც ირემზე ნადირობის სცენაა აღწერილი, როგორი სიფაქიზითა და ჭეშმარიტად სპორტული მიდგომითაა გადმოცემული ადამიანის და ნამდვილი მონადირის განცდა ნადირობის დროს...

თავის დიდსა და მრავალმხრივ მოღვაწეობაში ილია ბევრ დროს უთმობდა სახალხო განათლებისა და ახალგაზრდობის აღზრდის საკითხებს.

თუ რა გულისყურით ეკიდებოდა ილია სწავლა-განათლების საჭირბოროტო პრობლემებს, ჩანს მ-სი მრავალრიცხოვანი წერილებიდან დაწყებითი და საშუალო, სპეციალურ სასოფლო-სამეურნეო, ტექნიკური და სახელოსნო სკოლების შესახებ. ეს წერილები ასახავენ იმ ბრძოლას, რომელსაც ეწეოდა ილია ხალხში განათლების დანერგვისათვის. იგი ებრძოდა მეფის რუსეთის ჩინოვანი „პედაგოგების“ ხალხისათვის მავნე თეორიებს, ებრძოდა თავად-აზნაურობის გულგრილობას სწავლა-განათლების საქმეში.

თავისი შეხედულებანი ახალგაზრდობის ფიზიკური აღზრდის შესახებ ილიამ ყველაზე ვრცლად გამოთქვა წერილების სერიაში „პედაგოგიის საფუძვლები“, რომელიც 1888 წელს იბეჭდებოდა გაზეთ „ივერიის“ ფურცლებზე („ივერია“, 1888, № 92-96, 142-144).

ამ წერილებში ილია დაწვრილებით არჩევს იტალიელი პედაგოგისა და ჰუმანისტის ვიტორინო დეფელტრეს (1378-1446) პედაგოგიურ მოძღვრებას და განსაკუთრებით დაწვრილებით ეხება დეფელტრეს მიერ ქ. მანტუაში შექმნილ „სიხარულის სკოლას“, რომლის იდეალს შეადგენდა და პროტოტიპად აღებული ჰქონდა ათინური გიმნაზიები — „საცა ერთნაირი და თანასწორი ყურადღება იყო მიქცეული, როგორც ყმაწვილის ჭკვა-გონების განვითარებასა და გაძლიერებაზედ, ისეც ძვალ-ხორც-ჯანის გამაგრებასა და გალონიერებაზეც“.

ეხება რა დეფელტრეს სკოლის მიზნებს, ილია წერს: „ხოლო მისაღწევი საგანი კი ვიტორინოს სკოლისა ზნე-ხასიათის გაწვრთნა, დამთავრება და დადგენა იყო. ამიტომაც სკოლაში სწავლება და გარეთ ჰაერზედ ვარჯიშობა ერთი-ერთმანეთს რიგ-რიგად მოსდევდა. ყოველ დღეს, დანიშნულ საათს, რა გინდ ტაროსი ყოფილიყო, ყმაწვილები ვარჯიშობდნენ რბოლასა, ჭიდაობასა, ცურვასა, ბურთაობასა და შვილდოსნობაში, ზოგჯერ ნადირობის და თევზაობის ნებასაც აძლევდა, ზაფხულობით ოსტატების თანხლებით ყმაწვილებს სამგზავროდ ისტუმრებდა კარგა შორს, ზოგჯერ ალპიის მთებშიც“.

ამ შეხედულებებთან დაკავშირებით ილია ეხება თანამედროვე სკოლის ნაკლს და წერს:

„ერთი უდიდესი ნაკლოვანება ის არის რომ ეხლანდელს სკოლას იმდენად აქვს, რაც შეიძლება ბევრი სწავლა-ცოდნა შეძინოს მოწაფესა და ზნე-ხასიათის წვრთნას-კი თითქმის სრულიად უყურადღებოდ სტოვებს. ამ სწავლა-ცოდნასაც ისეთის დიდის საწყაოთი იძლევა, რომ მოსწავლე ძლივძლიობით ასდის, სულით და ხორცით იქანცება, არაქათი უწყდება და ბოლოს გამრჯელ, მხნე, სულითა და ხორცით ღონიერ ადამიანის მაგიერ უძლური, უღონო და ტან-გალეული კაცი გამოდის სკოლიდამ“.

ილია ილაშქრებს ასეთი ცალმხრივი აღზრდისა და ფიზიკური აღზრდისადმი უყურადღებობის წინააღმდეგ, სთვლის მას „დიდ შეცდომათ“ და დასძენს: „დედა-აზრი ეხლანდელის პედაგოგიის მიმართულებისა იგია, რომ ადამიანი უნდა იწურთნებოდეს სკოლაში ყოველ მხრით: გონებით, ზნე-ხასიათით, სულით და ხორცით და არც ერთი არ უნდა შეეწიროს მეორეს“.

თავისი აზრის დასასაბუთებლად ილია იშველიებს აგრეთვე დიდი ფრანგი სატირიკოსის ფრანსუა რაბლეს პედაგოგიურ შეხედულებებს, რომლებიც გამოთქმულია მის „გარგანტუა და პანტაგრუელში“. ილია წერს, რომ რაბლე განსაკუთრებით დიდ ყურადღებას უთმობდა ბავშვის ფიზიკურ აღზრდას: „რაბლეს სისტემაში ტანის და აგებულების ვარჯიშობას დიდი ადგილი უჭირავს: ბურთაობა, კენჭაობა, ცხენზედ ჯდომა, ცურვა, ჭიდაობა. ყოველივე ეს საჭიროდ დაიახულია რაბლესგან“. ხოლო თანამედროვე სკოლაში „დავიწყებულია, რომ კაცს ტანი და აგებულებაცა აქვს, რომელიც წვრთნითა და ვარჯიშობით უნდა გალონიერდეს, გაჯანსაღდეს, გამაგრდეს, რადგანაც ჯანმრთელობა უდიდესი მადლია... ამ მხრით ეხლანდელი სკოლა ბევრში ჩამოუვარდება „განახლების“ დროების სკოლებს, რომელთაც საგნად ჰქონდათ თანასწორი წარმატება ადამიანის სულისა და ხორცისა. ეხლანდელი სკოლა, მართალია, ბევრს ცოდნას აწვდის მოსწავლესა, მაგრამ ცალმხრივ მოქმედობს, ხასიათის წვრთნას თითქმის თავს ანებებს და ტან-აგებულებას ადამიანისას არამც თუ შველის, არამედ ჰლალავს“.

ამრიგად, ამ თავისი შეხედულებებით და დებულებებით ილია გვევლინება, როგორც დიდი და პრინციპული მომხრე ახალგაზრდობის ფიზიკური აღზრდისათვის სათანადო ადგილის მიჩენისა სასკოლო აღზრდის სისტემაში. ფიზიკურ აღზრდას ილია ზოგად განათლებასა და ზნეობრივ აღზრდასთან ერთად თანაბარ როლს აკუთვნებს.

დიდი ქართველი განმანათლებლის ეს იდეები სავსებით ეხმაურებიან თანამედროვე საბჭოთა სკოლის პრინციპებს, რომელნიც გონებრივად და ფიზიკურად სრულქმნილი ახალგაზრდობის, კომუნიზმის მშენებელთა თაობის აღზრდას ისახავენ მიზნად.

**ქ. ჯავრიშვილი**

# იქ, სადაც მოჰკლეს ილია

საბოლოოდ დადგინდა ლაშქრობის მარშრუტები. თბილისის მესამე ტურისტული შეკრების მონაწილე გუნდებმა დედაქალაქის რვა რაიონში აიღეს სტარტი, სხვადასხვა მხრიდან გაემართნენ წიწამურისაკენ, სადაც 50 წლის წინათ ვერაგულად მოჰკლეს ილია ჭავჭავაძე. მისი დღეების აღსანიშნავად სწორედ ამ მიდამოებში იყო დანიშნული შეკრების ფინალი.

ლაშქრობის დაწყების მეორე დღეს ყველაფერი მზად იყო წიწამურში. მსაჯთა კოლეგია ელოდა მონაწილეთა გამოჩენას, რომლებსაც ანგარიში უნდა ჩაებარებინათ მოგზაურობის შესახებ. დღის მეორე ნახევარში გამოჩნდა ტურისტული საჭურვლებით შეიარაღებული ექვსი სპორტსმენისაგან შემდგარი ჯგუფი, რომელიც ცენტრალური ბანაკისაკენ მიიწევდა. პირველ სტუმრებს მოჰყვნენ სხვა გუნდებიც და საღამოსათვის წიწამურთან ცამეტი კარავი წამოიჭიმა. მსაჯთა კოლეგიამ შეამოწმა ლაშქრობის შესახებ წარმოდგენილი „ანგარიშება“ და იმის მიხედვით ვის რა ხასიათის შეცდომები ჰქონდა დაშვებული მარშრუტის აღწერილობაში, გუნდებს სათანადო სასჯელი დაადო — დააჯარიმა. ოქმებში გაჩნდა პირველი აღნიშვნები. როცა ამ მხრისათვის უჩვეულო სტუმრებმა დაამთავრეს პირველი რიგის კერძო სამუშაოები — კარვების მოწყობა, კოლექტიურად შეუტიეს ნორჩ ტყეს. ფიზკულტურის, პოლიტექნიკური, პედაგოგიური, უცხო ენების და სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტების, უნივერსიტეტის, პიონერთა სასახლისა და № 11 სახელობო სასწავლებლის ტურისტებმა ირგვლივ მდებარე მიდამოები ხმელი ტოტებისა და ძეძვისაგან გაწმინდეს. მალე ყველაფერი მზად იყო კოცონისათვის.

დაბინდდა. შეკრების მონაწილენი ხაზზე მოეწყვნენ, ერთბაშად ცად აჭრილმა ცეცხლის ენებმა გაანათეს მიძინებული მიდამო...

მეორე დღეს ადრე წამოიშალა ბანაკი. აი, სტარტზეა პირველი მონაწილე. ამანათრბენას პირველ ეტაპს ვაჟები იწყებდნენ, მსაჯთა კოლეგიამ გულდასმით შეამოწმა ამანათი — ტურისტის ზურგჩანთა და ნიშანი მისცა. სპორტსმენი სწრაფად შეუდგა 700-მეტრიან დასერილ აღმართს ტყეში, რომლის ბოლოს, მეორე ეტაპზე ამანათი უნდა მიეღო თანაგუნდელ გოგონას.

შედარებით იოლი იყო მეორე ეტაპი — 400-მეტრიანი დისტანცია. ვაჟებმა იგი სასპარეზოდ გოგონებს დაუთმეს, სამაგიეროდ, საკმაოდ რთული და საინტერესო გამოდგა მესამე და მეხუთე ეტაპები, სადაც ბრძოლაში ებმებოდნენ ვაჟები. მესამე ეტაპის მონაწილეებს ძალაუნებურად უხდებოდათ ცივი აბაზანის მიღება არაგვში, რომელიც უნდა გაეცურათ, მეორე ნაპირზე გაერბინათ 200 მეტრი და ამანათი კვლავ გოგონასათვის გადაეცათ. კლდეზე ცოცვაში საკმაოდ გაწვრთნილ, მეხუთე ეტაპის მონაწილეებს ზურგჩანთა აჰქონდათ შვეულ კედელზე, მერე კლდის თავზე გადიოდნენ გაჭიმული ბაგირით და ისევ დაბლა ეშვებოდნენ, ფინიშზე გუნდი იწყებდა ცეცხლის ანთებას და წყლის ადუღებას.

შეჯიბრების დამთავრების შემდეგ გამოირკვა, რომ ტურისტულ ამანათრბენში ყველაზე კარგი შედეგი ჰქონდათ ფიზკულტურის ინსტიტუტის პირველი გუნდის წევრებს, მაგრამ ლიდერებს არ გაუმართლა ცეცხლის ანთებისა და წყლის ადუღების რამდენიმე ცდამ. სამაგიეროდ, ამავე ინსტიტუტის მეორე გუნდმა (ვ. ივანოვი, ვ. გავა, ვ. ლიახოვი, ნ. გაბეხაძე, ფ. გვარლიანი, ნ. ჩხიკვაძე) შეძლო გადამწყვეტი უპირატესობის მოპოვება და შედეგით 13.23,7 პირველი ადგილი დაიკავა. ფიზკულტურის ინსტიტუტის პირველი გუნდი გამოვიდა მეორე ადგილზე — 14.14,0.

თბილისის ტურისტთა მესამე საქალაქო შეკრება მიეძღვნა ოქტომბრის რევოლუციის მე-40 წლისთავსა და ი. ჭავჭავაძის დაბადების 120 და გარდაცვალების 50 წლისთავს.

**ო. გელაშვილი**



**საფრანგეთი.** ამ დღეებში პარიზში ნაჩვენები იქნა საწყლოსნო თხილამურებით ტრამპლინიდან ხტომის ატრაქციონი.

* * *

**სურათზე:** ატრაქციონის მონაწილე ხტომის დროს.

ფოტო ინტერკონტინენტალის საფრანგეთის სააგენტოსი.

## გადამწყვეტი გოლი

როგორც ცნობილია, ევროპული ფეხბურთი ავსტრალიაში ახალი ხილაა. მისი ნამდვილი კულტივირება აქ დაიწყო მხოლოდ ოლიმპიური თამაშების შემდეგ.

ამას წინათ ავსტრალიაში შედგა ამხანაგური შეხვედრა ორ გუნდს შორის: ერთი გუნდი შემდგარი იყო მამებისაგან, ხოლო მეორეში მხოლოდ მათი შვილები იყვნენ.

შვილები აშკარად ჯობნიდნენ მამებს თამაშში და ანგარიში საკმაოდ მოზრდილი იქნებოდა მათს სასარგებლოდ, რომ მსაჯი არა. იგი, რატომღაც, ზედმეტად თანაუგრძნობდა მამებს და პრინციპულად და გადაჭრით არ აძლევდა შვილებს გოლის გატანის უფლებას.

ასე გრძელდებოდა 85 წუთის მანძილზე. სწორედ გონგის წინ მამების თავდამსხმელებმა როგორც იქნა, მიუახლოვდნენ „მოწინააღმდეგეთა“ კარს და ჩაჯარიმო „მოედანზე“ შევიდნენ. მსაჯმა იხელთა დრო და მაშინვე დანიშნა 11-მეტრიანი საჯარიმო შვილების კარში, თუმცა საამისო იქ არაფერი მომხდარა.

სუსტად დარტყმული პენალტი მოიგერია მეკარემ. მაშინ გულმოსულმა მსაჯმა თვითონ დადო ბურთი წერტილზე, გამოქანდა და ძლიერი დარტყმით გაიტანა ბურთი კარში.

შვილებმა მამების პატივისცემით სამართლიანად მიიჩნიეს ეს გადამწყვეტი ბურთი. თუმცა მათ არც შეეძლოთ ხმის ამოღება: ფეხბურთის წესების მიხედვით თუ ბურთი მოხვდა მსაჯს და გავიდა კარში, იგი კანონიერად ითვლება.

# ფეხბურთი

## როგორ გავარჩიოთ საჭადრაკო პარტია

პასუხი გ. გელენიძის შეკითხვაზე (ქუთაისის რაიონი)

მოჭადრაკის თამაშის სრულყოფის ერთ-ერთი მეთოდია თავისი და ოსტატთა პარტიების კრიტიკული გარჩევა. ალიოხინი ამბობდა: იმისათვის, რომ კარგად ითამაშო ჭადრაკი, უნდა იცოდე შენი თამაშის სუსტი მხარეები, რათა იმუშაო მათ დასაძლევად. ამიტომ მოჭადრაკემ ყოველთვის უნდა ჩაიწეროს თავისი პარტიები და კრიტიკულად გაარჩიოს ისინი. მაგრამ, რასაკვირველია, დაოსტატებისათვის ეს არ კმარა. საჭიროა გულდასმით შეისწავლო ოსტატთა პარტიებიც, მათი შემოქმედება, ბრძოლის წარმართვის ხერხები.

ბუნებრივია იკითხავთ: როგორ გავარჩიოთ პარტიები? უპირველეს ყოვლისა უნდა შევეცადოთ ავირჩიოთ ისეთი პარტიები, რომლებიც ორ ან სამ ოსტატს აქვს კომენტირებული. ეს გამოგვადგება იმისათვის, რომ შემდგომ შევადაროთ მათ ჩვენი ანალიზები და დავადგინოთ თუ რამდენად გავიგეთ პარტია. თვითეული პარტია დინჯად, დაკვირვებულად რამდენჯერმე უნდა გავითამაშოთ. რასაც პირველად ვერ შევამჩნევთ, მეორედ, მესამედ აუცილებლად დავინახავთ. ყოველ პარტიას აქვს ერთი (გამომდინარე დებიუტიდან) მთლიანი გეგმა, რომლის მიხედვით ავითარებს თამაშს ოსტატი. საჭიროა ეს გეგმა ანალიზის პროცესში იქნას მონახული.

თამაშში ყოველთვის იქმნება კრიტიკული პოზიცია, რომლის სწორ შეფასებაზე დამოკიდებულია პარტიის შემდგომი მსვლელობა. საერთოდ ცნობილია, რომ ოსტატის ძალას განსაზღვრავს პოზიციის სწორი შეფასებისა და ვარიანტების გათვლის უნარი. ამიტომ კრიტიკულ პოზიციებს გულდასმით უნდა მოვეპყრათ. გროსმაისტერი კოტოვი გვირჩევს, თუ ასეთი პოზიცია ტაქტიკურ მომენტებს შეიცავს, მიზანშეწონილია ისე გავარჩიოთ იგი, რომ დაფაზე არ გადავაადგილოთ ფიგურები. ეს გამოგვიმუშავებს ვარიანტების გათვლის ტექნიკას. როდესაც ვარიანტის გათვლას ბოლომდე მივიყვანთ, საჭიროა ჩავიწეროთ იგი.

ზოგჯერ კრიტიკული პოზიცია იმდენად რთული და მიმზიდველია, რომ შეიძლება რამდენიმე დღე მოვანდომოთ მას. ამასობაში მოჭადრაკე ღრმად წვდება პოზიციას და ეჩვევა კვლევით მუშაობას. თუ კი პარტიაში შეგვხვდება კომბინაცია, აუცილებლად უნდა დავადგინოთ თუ რა მოტივებზეა იგი აგებული. კარგია თუ კომბინაციების ჩასაწერად ცალკე რვეულს იქონიებთ, სადაც მოახდენთ მათ სისტემატიზაციას.

დებიუტს ჩვეულებრივ ცნობილი სქემებით თამაშობენ. ამიტომ გასარჩევად ისეთი პარტია უნდა აირჩიოთ, რომელიც გათამაშებულია თქვენთვის ცნობილი დებიუტით. ეს, რასაკვირველია, აადვილებს პარტიის გეზის გაგებას.

საჭიროა მოჭადრაკე თავის დასკვნებსა და ვარიანტებს იწერდეს. უფრო კარგი იქნება თუ მათი მიხედვით დაწერთ კომენტარებს. შემდგომ თქვენი ნამუშევარი უნდა შეადაროთ ოსტატთა კომენტარებს. აქ ნათლად გამომჟღავნდება თქვენი ანალიზის ნაკლოვანებები და დადებითი მხარე. ასეთ მუშაობას შეიძლება ზოგჯერ ერთი კვირა და მეტი დაჭირდეს, მაგრამ ის მეტად სასარგებლოა.

**თ. გიორგაძე**

## გათამაშების ცხრილი

ძირითადი შემადგენლობანი

მდგომარეობა 22 ოქტომბრისათვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო“ მ. | 20 | 15 | 3 | 2 | 47·14 | 33 |
| ცსკ მო | 22 | 13 | 1 | 8 | 51:31 | 27 |
| „ლოკომოტივი“ | 19 | 11 | 3 | 5 | 36:24 | 25 |
| „სპარტაკი“ მ. | 18 | 9 | 4 | 5 | 35:25 | 22 |
| „ტორპედო“ | 16 | 8 | 5 | 3 | 37:19 | 21 |
| „დინამო“ კ. | 18 | 7 | 6 | 5 | 26:25 | 20 |
| „დინამო“ თბ. | 18 | 8 | 3 | 7 | 27:29 | 19 |
| „ბურევესტ.“ | 21 | 3 | 10 | 8 | 21:36 | 16 |
| „შახტიორი“ | 19 | 5 | 5 | 9 | 16:31 | 15 |
| „ზენიტი“ | 20 | 3 | 7 | 10 | 21:39 | 13 |
| „კრ. სოვეტ“. | 19 | 2 | 8 | 9 | 9:26 | 12 |
| „სპარტაკი“ მნ. | 22 | 1 | 7 | 14 | 11:40 | 9 |

* * *

**კუიბიშევი.** 20 ოქტომბერი. საბჭოთა კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატში ერთმანეთს შეხვდნენ „კრილია სოვეტოვი“ (კუიბიშევი) — „სპარტაკი“ (მინსკი).

მატჩი მოიგო „კრილია სოვეტოვმა“ — 4:0.

## გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 22 ოქტომბრისათვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „სპარტაკი“ (ერევანი) | 30 | 21 | 6 | 3 | 73:22 | 48 |
| ოსკ (თბილისი) | 29 | 21 | 5 | 3 | 85:26 | 47 |
| „ნეფტიანიკი“ (ბაქო) | 30 | 18 | 8 | 4 | 70:37 | 44 |
| ოსკ (სვერდლოვ.) | 30 | 15 | 9 | 6 | 58:18 | 39 |
| ქ. პერმი | 29 | 14 | 9 | 6 | 45:18 | 37 |
| „ლოკომოტივი“ (ქუთაისი) | 28 | 15 | 6 | 7 | 48:25 | 36 |
| „კაირატი“ (ალმა-ატა) | 28 | 14 | 5 | 9 | 42:36 | 33 |
| „ავანგარდი“ (სვერდლოვ.) | 30 | 13 | 5 | 12 | 44:39 | 31 |
| „დინამო“ (კიროვი) | 30 | 12 | 4 | 14 | 44:64 | 28 |
| „პახტაკორი“ (ტაშკენტი) | 28 | 8 | 6 | 14 | 31:37 | 22 |
| „ლოკომოტივი“ (ჩელიაბინ.) | 30 | 6 | 10 | 14 | 22:37 | 22 |
| „ზენიტი“ (იჟევსკი) | 29 | 8 | 5 | 16 | 26:45 | 21 |
| „ნეფტიანიკი“ (უფა) | 30 | 6 | 5 | 19 | 17:64 | 17 |
| „სპარტაკი“ (ფრუნზე) | 25 | 6 | 3 | 16 | 28:62 | 15 |
| „კოლმეურნე“ (აშხაბადი) | 26 | 5 | 4 | 17 | 19:55 | 14 |
| „ურალი“ (სტალინაბ.) | 27 | 2 | 2 | 23 | 19.84 | 6 |

* * *

**ლენინგრადი.** აქ შედგა მატჩი საბჭოთა კავშირის „ბ“ კლასის პირველობაზე ფეხბურთში ადგილობრივ გუნდებს „ავანგარდსა“ და „ბურევესტნიკს“ შორის, რომელიც დამთავრდა „ავანგარდის“ გამარჯვებით ანგარიშით — 4:1.

ამ გამარჯვებით ლენინგრადის „ავანგარდმა“ გაიხადა პირველი ადგილი „ბ“ კლასის პირველ ზონაში.

## ფრე ბაქოში

**ბაქო. 20 ოქტომბერი. (ტელეგრაფით ჩვენი სპეც. კორ.).** თბილისის ოფიცერთა სახლის სპორტკლუბის ფეხბურთელთა გუნდისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მატჩს ბაქოში ადგილობრივ „ნეფტიანიკთან“. საჭირო იყო თუნდაც ერთი ქულის აღება და შემდგომში მოგება სტალინაბადის „ურალთან“ და თბილისელები ყოველგვარი კონკურენციის გარეშე გადიოდნენ პირველ ადგილზე „ბ“ კლასის მესამე ზონაში.

მატჩმა თბილისის ოსკ-სა და ბაქოს „ნეფტიანიკს“ შორის ჩაიარა დაძაბულ ბრძოლაში და დამთავრდა ფრედ — 3:3.

## მსოფლიოს პირველობა

20 ოქტომბერს ქ. ხოჟუვში (პოლონეთი) შედგა შესარჩევი მატჩი მსოფლიო პირველობაზე ფეხბურთში ევროპის ზონის მეექვსე ჯგუფში. თამაშობდნენ პოლონეთისა და სსრ კავშირის პირველი ნაკრები გუნდები.

მატჩი დამთავრდა პოლონელ ფეხბურთელთა გამარჯვებით ანგარიშით 2:1. ამჟამად ამ ჯგუფში მდგომარეობა ასეთია:

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| სსრ კავშირი | 4 | 3 | 0 | 1 | 16:3 | 6 |
| პოლონეთი | 3 | 2 | 0 | 1 | 5:5 | 4 |
| ფინეთი | 3 | 0 | 0 | 3 | 2:15 | 0 |

პოლონელებს დარჩენილი აქვთ ერთი შეხვედრა ფინეთის ნაკრებ გუნდთან, რომელიც შედგება ვარშავაში 3 ნოემბერს. თუ მატჩი დამთავრდა პოლონელთა სასარგებლოდ, მათ ექნებათ იმდენივე ქულა, რამდენიც სსრ კავშირის გუნდს — 6. მაშინ, გათამაშების დებულების თანახმად, პოლონელი და საბჭოთა ფეხბურთელები კვლავ შეხვდებიან ერთმანეთს. თუ ეს დამატებითი მატჩი დამთავრდა ფრედ, პირველი ადგილის საკითხს მეექვსე ჯგუფში გადაწყვეტს გატანილი და მიღებული ბურთების უკეთესი შეფარდება.

გარდა ამისა, გაიმართა შეხვედრები სსრ კავშირისა და პოლონეთის მეორე ნაკრებსა და ახალგაზრდულ გუნდებს შორის. საბჭოთა ფეხბურთელებმა გაიმარჯვეს ორივე მატჩში (შესაბამისად 5:2 და 3:0).

## რევანშის ნაცვლად ნაგება

20 ოქტომბერს თბილისის „ბურევესტნიკის“ სტადიონზე გაიმართა უფროსი ასაკის ფეხბურთელთა მატჩი. თამაშობდნენ თბილისისა და ლენინგრადის გუნდები.

თბილისელებს სრული საფუძველი ჰქონდათ ეფიქრათ რევანშზე განვლილ ტურნირში წაგებისათვის და მატჩის პირველმა ნახევარმა, მართლაც, გაამართლა ეს განზრახვა — ს. ჯეჯელავასი და ა. პაიჭაძის მიერ გატანილი გოლების შემდეგ ანგარიში იყო 2:0 თბილისელთა სასარგებლოდ.

მეორე ტაიმის დასაწყისში თბილისელებს ჰქონდათ ანგარიშის გაზრდის რამდენიმე რეალური შესაძლებლობა, მაგრამ მახარაძემ, ზაზროშვილმა და პაიჭაძემ უიღბლოდ ხელსაყრელ მდგომარეობაში ვერ შეძლეს ბურთის გატანა, მაშინ, როცა ლენინგრადელები ცდილობდნენ ყოველი უმნიშვნელო მდგომარეობაც კი გამოეყენებინათ კარის აღებისათვის. განსაკუთრებით აქტიური იყო ლენინგრადელთა თავდასხმა მას შემდეგ, როცა მინდორზე გამოვიდა ძლიერი ფეხბურთელი ა. სოკოლოვი. მან გაქვითა პირველი გოლი — 1:2.

ლენინგრადელთა იერიშები სულ უფრო ძლიერდებოდა და ცვეტკოვმა 26-ე წუთზე გაიტანა მეორე საპასუხო ბურთი — 2:2. ეს მოხდა დაცვის უხეში შეცდომის შედეგად.

თამაშის 44-ე წუთზე თბილისელთა კართან დაშვებულ იქნა ახალი შეცდომა და სოკოლოვმა ახლო მანძილიდან გაიტანა გადამწყვეტი გოლი — 3:2.

ასე, რევანშის მაგივრად წაგებით დამთავრდა თბილისის ვეტერან ფეხბურთელთა მატჩი ლენინგრადელებთან.

**რ. ქორიძე**

## „სპარტაკმა“ დაამთავრა გათამაშება

**ერევანი. (ტელეფონით).** 20 ოქტომბერს აქ შედგა მატჩი საბჭოთა კავშირის პირველობაზე ფეხბურთში „ბ“ კლასის მესამე ზონის გუნდებს შორის. ერევნის „სპარტაკმა“ გათამაშების უკანასკნელი მატჩი ჩაატარა ქუთაისის „ლოკომოტივთან“.

თამაში დაიწყო ქუთაისელთა სწრაფი იერიშებით და მალე ანგარიში გაიხსნა კიდეც — ბურთი გაიტანა სორდიამ (№ 11). „სპარტაკმა“ გოლს ენერგიული იერიშებით უპასუხა და ოგანესიანმა (№ 7) გაათანაბრა ანგარიში — 1:1, ხოლო პოლოსიანმა (№ 11) ტაიმის დასასრულამდე თავისი გუნდი გაიყვანა წინ — 2:1.

მეორე ტაიმში მასპინძელთა მარცხენა შუამარბმა აბრამიანმა კიდევ ერთი ბურთი გაიტანა და მატჩი დამთავრდა ერევნის „სპარტაკის“ სასარგებლოდ ანგარიშით 3:1.

## გ. ბისტროვას მსოფლიო რეკორდი

ოდესაში მიმდინარეობს „ბურევესტნიკის“ უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთა საკავშირო პირველობა მძლეოსნობაში. გორკის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტმა გ. ბისტროვამ ხუთჭიდის ჯამში 4846 ქულა მოაგროვა. (ბირთვის კვრაში — 12 მ. 73 სმ, სიმაღლეზე ხტომა — 158 სმ, 200 მეტრზე რბენა — 25,2 წამი, 80 მეტრზე—თარჯრბენი 10,8 წამი, სიგრძეზე ხტომა — 617 სმ) და 79 ქულით გააუმჯობესა ნ. ვინოგრადოვას მსოფლიო რეკორდი.

**რედაქტორი ი. უგულავა**

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12. დეპეშებისათვის თბილისი, „ლელო“.
ტელეფონები: რედაქტორისა — 3-89-62, პ-მგ. მდივნისა და განყოფილებების — 3-90-34, მორიგისა და გამომშვების — 3-38-25.

საქართველოს კპ ც. კ-ის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14. უე 03265